სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის“

#16 საერთო კრების მოწვევის შესახებ

გადაწყვეტილება

სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის“ (სენბი, ს/კ 404589432, მის.: საქართველო, თბილისი, ჩუღურეთის რაიონი, კ.ხეთაგუროვის ქ., N36) საერთო კრების 2024 წლის 2 თებერვლის #15/2024 საერთო კრების ოქმით დამტკიცებული წესდების (წესდება) მე-12 მუხლის მე-7 პუნქტის, მე-14 მუხლის პირველ პუნქტის “ა” და “კ” ქვეპუნქტები, ასევე მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მეორე პუნქტის, ასევე 184-ე მუხლის 1 პუნქტის “ა” და “კ” ქვეპუნქტების შესაბამისად,

გადაწყდა:

მოწვეულ იქნეს საზოგადოების მორიგი საერთო კრება **2024 წლის 24 მაისს, 12:00 სთ-ზე,** მისამართზე: საქართველო, თბილისი, 0102, კ.ხეთაგუროვის ქ. #36;

1. საერთო კრების დღის წესრიგით განისაზღვროს შემდეგნაირად:
   1.1 სენბის ფინანსური ანგარიშგების დასკვნის წარდგენა და დამტკიცება;
   1.2 სენბის საშტატო განრიგის ცვლილებაზე ინფორმაციის წარდგენა;
   1.3 დღით ადრე და დღიური ბაზრების მომსახურების საფასურების განსაზღვრის შესახებ;
   1.4 საზოგადოების წესდების ცვლილება.

2. საერთო კრების სააღრიცხვო დღედ განისაზღვროს 2024 წლის 20 მაისი, გასათვალისწინებელია, რომ საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც სააღრიცხვო დღეს აქციონერებად ირიცხებიან;
3. საერთო კრება ჩატარდება პირისპირ ან/და ონლაინ (თუ დაემთხვა გადაუდებელი აუცილებლობის მქონე მივლინება ან სხვა გარემოება) ფორმატში, კენჭისყრა ხორციელდება ღია ხმის მიცემის მეშვეობით, საერთო კრების ოქმში აისახება კენჭისყრის შედეგები;
4. საერთო კრების დანიშვნის შესახებ აქციონერებს ეცნობება პირადად, ასევე ელექტრონულ მისამართებზე გაეგზავნებათ კრების მოწვევის შესახებ წინამდებარე გადაწყვეტილება და დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების გადასაწყვეტად საჭირო მასალები, კერძოდ:
   - სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის" ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა,
   - საშტატო განრიგში ცვლილებასთან დაკავშირებული ინფორმაცია
   - საფასურებთან, მათ გაანგარიშებასთან და გავლენასთან დაკავშირებული ინფორმაცია
   - საზოგადოების წესდების ცვლილების პროექტი
5. კანონმდებლობით დადგენილი წესით, გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს პორტალზე დაუყოვნებლივ.

გადაწყვეტილება მიღებულია 02.05.2024

ირაკლი გალდავა
გენერალური დირექტორი (მ.შ.)

Irakli Galdava

Digitally signed by Irakli Galdava
Date: 2024.05.02 15:40:10 +04'00'